1 ივნისი

კვირა 2025

პასექის VII კვირადღე, «გ», [III], თ

(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს ამაღლება)

[(19.V) წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლა, IVს, თ
წმ. იუსტინე, ფილოსოფოსი, წამებული,
+~165 რომში, (მ), წ]

საქმ 7,55-60; ფს 97; გამოცხ 22,12-14,16-17,20; იო 17,20-26

**კახეთის ხიზაბავრის წმ. ნინოს
კათოლიკური ეკლესიის დღეობა**

*რათა ყოველნი ერთი იყონ, როგორც შენ ჩემში,
მამაო, მე კი – შენში* იო 15,17

ამაღლებასა და სულთმოფენობას შორის ვისმენთ იესოს ამ ვედრებას, პასექში შესვლამდე რომ აღავლინა მამისადმი. ეჭვგარეშეა, ამით უფალმა მამის ყოვლად სანუკვარი სურვილი გააჟღერა: მოწაფეთა ერთობა! შეუძლებელი როდი ყოფილა, რაკი ის მადლია, რასაც ღმერთი გვიწვდის ჩვენ. ჩვენი ერთობის წყარო და ნიმუში ძისა და მამის ერთობაში მოგვეძევება.
მოდი სულო წმიდაო! მამაო, იყავნ ნება შენი!

2 ივნისი

ორშაბათი

2025

პასექის ჟამის VII კვირა [III], თ

(20.V) წმ. ღირსნი ზაბულონი და წმ. სოსანა, წმ. ნინოს მშობლები (IVს.); / წმ. მარცელინე და წმ. პეტრე წამებულნი +304 რომში

საქმ 19,1-8; ფს 67; იო 16,29-33

ეამხნევდით, მე ვძლიე წუთისოფელს! იო 16,33

სულთმოფენობის დღესასწაულისთვის, უფლის სულიწმიდის მისაღებად ვემზადებით. ასე უთხრა თავის მოწაფეებს იესომ: „ჭირი არ დაგელევათ ამქვეყნად“, მაგრამ ამ სიტყვებმა არ უნდა შეგვაშინოს და დაგვამწუხროს, რამეთუ ის მუდამ ჩვენს გვერდით არის.

3 ივნისი

სამშაბათი

2025

პასექის ჟამის VII კვირა [III]

წმ. კარლო ლვანგა და მისი მეგობრები,
უგანდელი წამებულები, + 1886, (მ), წ

საქმ 20,17-27; ფს 67; იო 17,1-11

მათთვის ქვეყანაა:
სოფლისთვის კი არ ქვეყანაა

იო 17,9

ამა თუ იმ ადამიანისთვის ლოცვა ნიშნავს მასთან შეერთებას ღმერთის წინაშე. იესო შეერთვის მოწაფეებს, რომლებმაც სიცოცხლე მიუძღვნეს მას, მაგრამ ვერ შეერთვის წუთისოფელს, რომელმაც იგი უარყო. წუთისოფლის გამო მსხვერპლად გაიღო თავი და მისთვის ჯვარს ეცვა. ამიტომაც ვგრძნობთ წუთისოფლის სიშორეს და განცალკევებას, თუმცაღა, მისი ხსნის გამო თავს ვუძღვნით ზეციერ მამას.

4 ივნისი

ოთხშაბათი
2025

პასექის ჟამის VII კვირა [III], თ

საქმ 20,28-38; ფს 67; იო 17,11-19

ისინი არ არიან სოფლისანი იო 17,16

მოწაფეები იესოს კუთვნილებას წარმოადგენენ. ამიტომაც დასცინის მათ წუთისოფელი. ისინი ცათა სასუფევლის ნაწილს შეადგენენ, რამეთუ მამისაგან მოვლენილ მეფეს მიჰყვებიან და უარყოფენ წუთისოფელში გაბატონებულ წესებს: მბრძანებლობას, ძალადობას, ძალაუფლებას, გარყვნილებას, სიძულვილს. მტრის საცდურებად მიიჩნევენ მათ და ცდილობენ უგულებელყონ.

5 ივნისი

ხუთშაბათი

2025

პასექის ჟამის VII კვირა [III]

წმ. ბონიფაციუსი, მაინცის ეპისკოპოსი, წამებული, +754, (მ), წ

საქმ 22,30; 23,6-11; ფს 15; იო 17,20-26

დიდება, რომელიც შენ მომეცი, მათ მივეცი იო 17,22

იესო, შენ მამისაგან გერგო დიდება! მისგან გერგო სრულყოფილი სიყვარულის გამოხატვის უნარი, ისეთი სიყვარულის, რომელიც საკუთარ თავს მსხვერპლად სწირავს. იგივე დიდების გაბრწყინება გწადია ჩვენშიც: რათა ყვაოდეს სრულქმნილი და წმინდა სიყვარულის მშვენიერება!

6 ივნისი

პარასკევი

2025

პასექის ჟამის VII კვირა [III], თ

წმ. ნორბერტი, მაგდებურგის ეპისკოპოსი, პრემონსტრანტების დამაარსებელი, +1134

საქმ 25,13-21; ფს 102; იო 21,15-19

აძოდე რემი ცხვრები

იო 21,17

იესო, შენ მნიშვნელოვან მისიას აკისრებ პეტრეს: გამოკვებოს, დაიცვას, ერთობაში ამყოფოს შენი ცხვრები. ცხვრები მუდამ შენი იქნებიან, ხოლო პეტრე შენს სიყვარულში დარჩება. ცხვრები იგრძნობენ მის სიყვარულს, თუკი იგი შეგიყვარებს შენ, მხოლოდ შენ!

7 ივნისი

შაბათი
2025

პასექის ჟამის VII კვირა [III], თ

საქმ 28,16-20.30-31; ფს 10; იო 21,20-25

ისრაელის იმედის გამო ვარ ბოჭილებში საქმ 28,20

საბოლოოდ წმინდა პავლე ხვდება რომში, საიმპერატორო ქალაქში მცხოვრებ ებრაელებს. არ წუწუნებს თავის პატიმრობაზე, პირიქით, იქადის, რომ დასაჯეს იესოს გამო, ვინც მკვდრეთით აღდგომით ხალხს იმედი ჩაუსახა. უფლის მსგავსად პავლეც სიკვდილის გზას ადგას ანუ აღდგომის გზას!

8 ივნისი

კვირა

2025

სულთმოფენობა, «გ», დდ, [ს], წ

საქმ 2,1-11; ფს 103; რომ 8,8-17; იო 14,15-16.23-2

ბათუმის ახალი კათოლიკური ეკლესიის დღეობა

თუ მე გიყვარვართ, დაიცავით ჩემი მცნებები იო 14,15

სულთმოფენობის დღეს, იესოს ვუსმენთ, რომელიც „სხვა მანუგეშებელზე“ იძლევა დაპირებას. როდის მიიღებენ მას? ადვილი წარმოსადგენია: როდესაც მას შეიყვარებენ, ანუ როდესაც მასთან ერთად დარჩებიან მამის სიყვარულში. რას გულისხმობს ეს სიყვარული? ცხოვრებას მისი ღმრთაებრივი სიტყვების კვალზედ. ღმრთის სული ყოველ-თვის გვეფინება, როცა მორჩილებას გამო-ვხატავთ!

9 ივნისი

ორშაბათი
2025

წმ. მარიამ დედა ეკლესიისა, (მ), [ს], თ

წმ. ეფრემ დიაკონი, ეკლესიის მოძღვარი, +373 ედესაში (ურფა, თურქეთი)
(27.V) წმ. ღ. ბასილ ბაგრატ III-ის ძე, XIს;
წმ. ღირსი მიქელ პარეხელი, VIII-IXსს.

საქმ 1,12-14 ან, დაბ 3,9-15.20; ფს 86; იო 19,25-27

დედაკაცებთან და იესოს დედასთან, მარიამთან ერთად

საქმ 1,14

ერთად არიან მოციქულები. მათ ერთიანობაზე, აწ ზეცად ამაღლებული იესოს ნაცვლად, მარიამი ზრუნავს. მათთან ერთად ლოცულობს, მათთან ერთად მოელის, მათთან ერთად ცხოვრობს. მისი სიყვარულის თვალსაწიერში ახლა ისინი არიან. მისი დედობრივი სიყვარული მათ იფარავს: ის ეკლესიის დედაა!
მისგან სწავლობს ეკლესია, თუ როგორ ემსახუროს იესოს ძმათა მსახურების გზით.

10 ივნისი

სამშაბათი
2025

რიგითი ჟამის X კვირა [II], მწ

2კორ 1,18-24; ფს 118; მთ 5,13-16

ადიდებდნენ თქვენს მამას, რომელიცა ზეცაშია მთ 5,16

მოწაფეები უსმენდნენ იესოს, ვინც ისინი ნეტარად გამოაცხადა. იესოსთან ყოფნით, თუნდაც ღარიბნი და მოწყვლადნი, მამის გულში იმყოფებიან. ამიტომაც, გულისხმას ყოფენ, რათა თავიანთი ცხოვრებით ყველას განუცხადონ მამის სიყვარული, რათა ყველამ შეიცნოს იგი ვითარცა ჭეშმარიტი მამა!

11 ივნისი

ოთხშაბათი
2025

რიგითი ჟამის X კვირა [II]

წმ. ბარნაბა, მოციქული (მ) [ს] წ

საქმ 11,21ბ-26;13,1-3; ფს 97; მთ 10,7-13

ახლოდა ცათა სასუფეველი მთ 10,8

დღეს, წმინდა ბარნაბას, „სულით წმიდითა და რწმენით აღსავსე კაცის“ ხსენების დღეს, იესოს მიერ მოციქულებზე გაცემულ მისიას ვისმენთ. წმინდა ბარნაბა მათთან ერთად იღვწოდა, მთელი თავის დროსა და ენერგიას მათ უძღვნიდა. ისიც აუწყებდა, რომ „მოახლოვდა ცათა სასუფეველი“, რამეთუ მეფე-იესო მოსულია, უკვე ჩვენთან არს: ისღა დაგვრჩენია, ვუსმინოთ მას!

12 ივნისი

ხუთშაბათი

2025

წმ. გასპარე ბერტონი, სტიგმატელთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1853, თ

2კორ 3,15 - 4,1.3-6; ფს 84; მთ 5,20-26

სტიგმატელ მამათა დღესასწაული

რჯულ თქვენი მოწვნები ვართ იესოსთვის 2კორ 4,5

წმიდა პავლე მოციქულთა მსახურებაზე საუბრობს; ისინი, ვინც იესოს არ ცნობენ, ვერ იღებენ ამ საუბრებს, რამეთუ „ამქვეყნიური ღმერთის“ მიერ არიან დაბრმავებულნი. ისინი არ უშინდებიან და თავის მისიას აგრძელებენ, რომელიც მათ სახეზე გააბრწყინებს იგივე „ღვთის დიდებას“, რაც „ქრისტეს სახეზეა“!

13 ივნისი

პარასკევი

2025

რიგითი ჟამის X კვირა [II]

წმ. ანტონ პადუელი, ხუცესი,
პორტუგალიელი ფრანცისკელი,
ეკლესიის მოძღვარი, +1231 პადუაში, (მ), თ

2კორ 4,7-15; ფს 115; მთ 5,27-32

სხეულში ვატარებთ უფალ იესოს სიკვდილს 2კორ 4,10

ქრისტიანები, როგორც კრავები მგლებს შორის, ისე არიან წუთისოფელში: იესოს გამო შეჭირვებულნი, შეძრწუნებულნი, დევნილნი და ვნებულნი: მასთან ერთად იზიარებენ წუთისოფლისგან განშორებას. თუმცა, ფარ-ხ-მალს როდი ყრიან, რამეთუ წმინდა ანტონის კვალზე, სიხარულით ცხოვრობენ, აწ უკვე როგორც მკვდრეთით აღმდგარნი.

14 ივნისი

შაბათი

2025

რიგითი ჟამის X კვირა [II], მწ

2კორ 5,14-21; ფს 102; მთ 5,33-37

სულ არ დაიფიცოთ მთ 5,34

იესო ისევ გვაჩვენებს, თუ როგორ ალამაზებს ღმერთის ათი მცნება მათ ცხოვრებას, ვინც მათ ითავისებს, ვინც ამ სიტყვებში მამის სიყვარულს გრძნობს თავის შვილთა მიმართ. ფიცის დროს ადამიანი მიგვახვედრებს, რომ ჩვეულებრივ ცრუობს და თვლის, რომ მის მსმენელს ნდობა არა აქვს. ფიცი არ გამოხატავს სიყვარულს: ჩვენ ასე არ მოვიქცევით.

15 ივნისი

კვირა

2025

ყოვლადწმიდა სამება, «გ», დდ, [ს], თ

იგ 8,22-31; ფს 8; რომ 5,1-5; იო 16,12-15

ჭეშმარიტების სული შეგიძღვენათ სრულ ჭეშმარიტებაში

იო 16,13

დღეს ჩვენ ერთი და სამსახოვანი ღმერთის ბრწყინვალებას, მეტიც, მის სიყვარულს ვუმზერთ. იესო სულიწმიდაზე საუბრობს და გონებას გვიხსნის ჭეშმარიტების ანუ მამის სიყვარულის შესაცნობად. ყოველივეს შე-გვაცნობს, რათა მის მოზიარედ გვაქციოს: უნარს მოგვანიჭებს, რომ მთელი სისრულით ვიცხოვროთ. მაშინ ჩვენც, ღვთის ჭეშმარიტი შვილები, ჭეშმარიტებაში ვიცხოვრებთ.

16 ივნისი

ორშაბათი

2025

რიგითი ჟამის XI კვირა [III], მწ

2კორ 6,1-10; ფს 97; მთ 5,38-42

აჰა, ახლაა ხელსაყრელი ჟამი 2კორ 6,2

ჟამი დგას ხსნისა! ჟამი სრული სიხარულისა, რამეთუ უფლის ჯვრის გაზიარებით შევალთ სიწმინდეში, სიბრძნეში, კეთილგანწყობაში, სიწმიდეში, გულწრფელი სიყვარულისა და ჭეშმარიტი სიტყვის უნარს შევიძენთ. ეს არის შესაფერი ჟამი იესოსთან შესახვედრად!

17 ივნისი

სამშაბათი
2025

რიგითი ჟამის XI კვირა [III], მწ

2კორ 8,1-9; ფს 145; მთ 5,43-48

რათა იყოთ თქვენი ზეციერი მამის ძენი მთ 5,45

როგორ გავხდებით ზეცაში მყოფი მამის შვილები? მარტივად! გვიყვარდეს ჩვენი მტერნი და ვილოცოთ ჩვენსავე მდევნელთათვის. თავად ის – მამა გვაჩვენებს სიყვარულს, რაც მის შვილებს მემკვიდრეობით გადაეცემათ, მოჭარბებული სიყვარული: მას ხომ „თავისი მზე ამოჰყავს კეთილთა და ბოროტთათვის და წვიმას უგზავნის მართალთაც და უსამართლოთაც“.

18 ივნისი

ოთხშაბათი
2025

რიგითი ჟამის XI კვირა [III], მწ

2კორ 9,6-11; ფს 111; მთ 6,1-6.16-18

თითო-ეულმა გასცეს
რამდენიც ეულით აირჩია 2კორ 9,7

როგორ ვიქცევით, როცა ეკლესია გაჭირვებულთათვის შესაწირს კრებს? მოციქულსაც ეს უნდა გვითხრას: არ უყუროთ სხვის ხელებს, არ უსმინოთ სხვის განსჯას და შექებას. უსმინე ღმერთის შეგონებებს შენს გულში.

19 ივნისი

ხუთშაბათი

2025

უწმიდესი ხორცი და სისხლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «გ», დდ, [ს], თ

(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს)

წმ. რომუალდი, აბატი, კამალდოელების დამაარსებელი, +1027 კამალდოლიში (იტალია)

დაბ 14,18-20; ფს 109; 1კორ 11,23-26; ლკ 9,11-17

ეატეხა და მისცა მოწაფეებს ლკ 9,16

იესო ღმერთის სასუფეველზე ესაუბრებოდა ბრბოს, ახლა კი აჩვენებს მათ მას. მასში ყოველი ამქვეყნიური არასაკმარისია, მაგრამ მამის სიყვარული აუხვებს მათ. იესო კვლავაც სტეხს პურს და აწვდის მოწაფეებს, რომლებიც მას სხვებს უნაწილებენ. ეს პური და ღვინო, ღმერთის სიყვარულის მარადიული ძღვენია და ახალ სამეფოს აგებს.

20 ივნისი

პარასკევი
2025

რიგითი ჟამის XI კვირა [III], მწ

2კორ 11,18.21-30; ფს 33; მთ 6,19-23

სხეულის ლამპარი თვალია მთ 6,22

თვალი გაგვირბის საუნჯისკენ, იმისკენ, რაც მას ყველაზე მეტად იზიდავს. თუკი უმნიშ-ვნელოზე ზრუნავ, შენი თვალი გაცდუნებს, რამეთუ ვერ ამჩნევს მნიშვნელოვანს და ამიტომაც, ვერ შეგძენს ვერც სიბრძნეს და ვერც სიმართლეს, მით უფრო, სიყვარულს. უპირველესად, იზრუნეთ გულის საუნჯეზე! თუკი შენი საუნჯე იესოა, რამხელა სიბრძნეს, ჭეშმარიტებას და სიყვარულს მოიპოვებ შენს განათებულ გზაზე!

21 ივნისი

შაბათი

2025

რიგითი ჟამის XI კვირა [III]

წმ. ალიოზ გონძაგა, იეზუიტი სტუდენტი, +1591 რომში, (მ), თ

2კორ 12,1-10; ფს 33; მთ 6,24-34

ვერ ემსახურებით ღმერთსაც და ფულსაც მთ 6,24

რატომ არის ეს ორი რეალობა შეუთავსებელი? ვინ არის შენი ღმერთი? თუ ის ჩვენი მამაა, მამა ყოველი კაცისა, მისი სიყვარული გაგიძღვება, განსჯაში დაგეხმარება და გონებას გაგინათებს. ან იქნებ გინდა სიმდიდრეს ემსახურო? მაშინ, სიყვარულს დაივიწყებ, ვეღარ შეამჩნევ გასაჭირში მყოფ ძმებს და ვერ გაგახარებს თანაზიარება და სიყვარული.

22 ივნისი

კვირა 2025

რიგითი XII კვირადღე, «გ», [IV], მწ

(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს უწმიდესი ხორცისა და სისხლის დიდდღესასწაული)

[წმ. პავლინი, ნოლას ეპისკოპოსი, +431; / წმ. იოანე ფიშერი, როჩესტერის ეპისკოპოსი და წმ. თომას მორი, ინგლისის კანცლერი, ლონდონში წამებულნი, +1535.]

ზაქ 12,10-11; 13,1; ფს 62; გალ 3,26-29; ლკ 9,18-24

თქვენ ყველანი ღვთის ძენი ხართ რწმენით გალ 3,26

ნათლისღება, რწმენის მოქმედი ნიშანი ქრისტეს გვამსგავსებს. ნათლობის წყლიდან ამოსული ქრისტიანი იმოსება ახალი სა-მოსით, ქრისტეთი. ამიტომ აღარ არსებობს არსებითი განსხვავება მორწმუნეებს შორის, რომლებიც ყველანი ღვთის შვილები არიან ერთიანი ერის ერთობაში.

23 ივნისი

ორშაბათი
2025

რიგითი ჟამის XII კვირა [IV], მწ

დაბ 12,1-9; ფს 32; მთ 7,1-5

საღამოს – იოანე ნათლისმცემლის წინადღის წირვა: იერ 1,4-10; ფს 70; 1პეტ 1,8-12; ლკ 1,5-17

არ განიკითხოთ და არ განიკითხებით მთ 7,1

ასე ცხოვრობენ ცათა სასუფეველში. მზერა ყოველთვის მამისკენაა მიპყრობილი და შემდგომ, ადამიანებზე. თავდაპირველად, მოძმისადმი მამის სიყვარულს შევხედავ და შემდეგ გადავწყვეტ, როგორ შევიყვარო. თუ საპირისპიროდ ვიქცევი, მამას ვაჩვენებ ჩემს ურჩ შვილობას. ღმერთი განსჯის, ვარ თუ არა მზად მისი სამეფოსთვის.

24 ივნისი

სამშაბათი
2025

წმ. იოანე ნათლისმცემლის შობა,
დდ, [ს], თ

ეს 49,1-6; ფს 138; საქმ 13,22-26; ლკ 1,57-66.80

ბათუმის ახალი კათოლიკური ტაძრის
კურთხევის 25 წლისთავი

ბავშვი იზრდებოდა და ძლიერდებოდა სულით ლკ 1,80

იესო მრავალგზის საუბრობდა იოანესა და მისი მოწოდების დიდ მნიშვნელობაზე: ამას მთელი მონდომებით აკეთებდა. ფაქტობრივად, იოანე მიუთითებდა თავისი მისიის ცენტრზე: არა სნეულთა განკურნება, არამედ ცოდვის უზარმაზარი ტვირთის მოცილება ადამიანისგან. დღეს იოანეს შობას აღვნიშნავთ, მიუხედავად იმისა, რომ იგი სამყაროს მოევლინა ყრმად, ვინც უნდა გაზრდილიყო და შინაგანად გაძლიერებულიყო.

25 ივნისი

ოთხშაბათი

2025

რიგითი ჟამის XII კვირა [IV], მწ

(12.VI) წმ. ღირსი ისიდორე სამთავნელი, მონაზონი, VIს;
წმ. იოანე-თორნიკე მთაწმიდელი, Xს

დაბ 15,1-12.17-18; ფს 104; მთ 7,15-20

კარი ხე ცუდ ნაყოფს ვერ მოისხამს მთ 7,18

ამას ვერ შეძლებს! იესოს მოყვარული კაცი სხვას ვერ მოატყუებს, სხვას ვერ მოშხამავს. იესოს სიყვარული, ვის გულშიაც არ უნდა იყოს იგი, ყველა შემხვედრს იხსნის და უფლისმიერ სიხარულსა და მშვიდობას მოჰფენს.

26 ივნისი

ხუთშაბათი

2025

რიგითი ჟამის XII კვირა [IV], მწ

დაბ 16,1-12.15-16; ფს 105; მთ 7,21-29

ყველას, ვინც ისმენს ამ რემს სიტყვებს და ასრულებს მათ, ვამსგავსებ ღონიერ კაცს მთ 7,24

ბრძენის ცხოვრებას წარმართავს წესრიგი და სიფრთხილე, ამით მოიპოვებს ხალხში ნდობას. ამის მისაღწევი უტყუარი გზა არის ღმერთის ძის – იესოს მოსმენა. მისი სიტყვები ღმერთის მარადისობას და თავმდაბლობას შეგვაცნობს!

27 ივნისი

პარასკევი

2025

იესოს ღმრთაებრივი გული, «გ», დდ, [ს], თ

[წმ. კირილე, ალექსანდრიის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი, +444]

ეზეკ 34,11-16; ფს 22; რომ 5,5-11; ლკ 15,3-7

ხიზაბავრის (ასპინძა) კათოლიკური ეკლესიის დღეობა

სიხარული იქნება ზეცაში ერთი ცოდვილის გამო ლკ 15,7

გული გადაგვიშალა იესომ მამის სიყვარულის შესაცნობად, ამ სიყვარულით არის პირთამდე აღვსილი. სიყვარულის შეგრძნებით ცოდვილი კაცი გარდაიქმნება, გარდაისახება. იესო, ყველას, ვისაც უახლოვდება, სათითაოდ აგემებს მამის წყალობას, და ასე, მის გვერდით მყოფი ყოველი კაცი განეშორება ცოდვას.

28 ივნისი

შაბათი

2025

რიგითი ჟამის XII კვირა [IV], მწ

ნეტ. ქალწ. მარიამის უმანკო გული (მ), თ
წმ. ირენეოსი, ლიონის ეპისკოპოსი და წამებული, +~202, (მ), წ

ეს 61,9-11; საგ. 1მეფ 2; ლკ 2,41-51

საღამოს – წმ. პეტრესა და წმ. პავლეს წინადღის წირვა: საქმე 3,1-10; ფს 18ა; გალ 1,11-20; იო 21,15-19

ნუთუ არ იცით, რომ მამის სახლში უნდა ვიყო? ლკ 2,49

თვით მარიამის გულიც განიძარცვა დედობრივი სიყვარულისგან, რათა ღმრთაებრივი სიყვარულით აღვსებულიყო. ამაში თავად იესო ეხმარება, ჯერ კიდევ ყმაწვილი, როდესაც სამი დღის მანძილზე მისგან გაუჩინარდა და დაფარულში დარჩა. მარიამი ჩემს მიმართაც მამის ნებას აღასრულებს თავისი სიყვარულით.

29 ივნისი

კვირა

2025

წმ. პეტრე და წმ. პავლე
მოციქულნი დდ, [ს], წ

საქ 12,1-11; ფს 33; 2ტიმ 4,6-8.17-18; მთ 16,13-19

თბილისის წმ. პეტრესა და პავლეს კათოლიკური ეკლესიის დღეობა. შესაწირავი პაპისათვის.

რასაც ვახსნი დედამიწაზე,
ვახსნილი იქნება ზეცაშიც მთ 16,19

რამხელა რწმენა უნდა გააჩნდეს პეტრეს, რომ მიწაზე ისე დახსნას საკვრელნი, რომ-ლებიც ღმერთის სიყვარულს მალავენ! მას ახლა პავლეც გვერდში უდგას, რომლის გუ-ლიც იესოს დაუპყრია. მისი სიყვარული მათი საუნჯეა და მის გამო სიკვდილზე მიდიან, ოღონდაც დაამოწმონ იგი მთელი ეკლესიის საკეთილდღეოდ.

30 ივნისი

ორშაბათი

2025

რიგითი ჟამის XIII კვირა [I], მწ

რომის ეკლესიის წმიდა პირველმოწამენი, +64
წმ. შალვა ახალციხელი, +1227]

დაბ 18,16-33; ფს 102; მთ 8,18-22

ყამომქევი

მთ 8,22

ასეთია იესოს ურყევი ბრძანება მერყევი კაცისთვის, რომელიც მამის სიკვდილს და მის დამარხვას ელოდებოდა, ვიდრე მას გაჰყვებოდა... მაგრამ მამასაც ხომ სჭირდება ცათა სასუფეველში შესვლა. ხოლო ძეს, ჭეშმარიტ ძეს, სურს, რომ ღმერთის ჭეშმარიტება თავისიანებსაც გააცნოს და საუკეთესო გზა ამისათვის, არის ჩვენება იმისა, თუ რაოდენ ძვირფასია იესო კაცისთვის, რაოდენ იმსახურებს ჩვენთვის ძვირფას ადამიანებზე წინ დაყენებას.